

საწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიცია სვანეთში  
(ანგარიში)



2014 წელი

„სტუდენტთა სასწავლო სამეცნიერო არქეოლოგიურ-ექსპედიცია სვანეთში”

არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-მეცნიერებათ ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფ. ზვიად კვიციანი

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №91. ტელ: 599-96-59-95. Mail – [zviad.kvitsiani@tsu.ge](mailto:zviad.kvitsiani@tsu.ge)

**ექსპედიციის შემადგენლობა:**

1. თემურ თოდუა(თსუ პროფესორი)
2. რევაზ ხვისტანი(სსუ პროფესორი)
3. ირაკლი ანჩაბაძე (დოქტორანტი)
4. დიანა სურმანიძე (მაგისტრანტი)
5. თამარ ტიზლიარიშვილი (მაგისტრანტი)
6. ანა თეთრიუაშვილი (მაგისტრანტი)
7. ვერიკო მხეიძე(მაგისტრანტი)
8. მარიამ გოგოლაძე(მაგისტრანტი)
9. ბესიკ ხიხაძე(სტუდენტი)
10. ოთარ აბუაშვილი(სტუდენტი)
11. თამარ ჩოგოვაძე(სტუდენტი)
12. საბა ტეფნაძე(სტუდენტი)
13. ამირან ნადირაშვილი(სტუდენტი)
14. სოფო პაატაშვილი(სტუდენტი)
15. გიორგი ჯღარკავა(სტუდენტი)
16. თემურ გამყრელიძე(სტუდენტი)
17. გალაქტიონ კვიციანი (ბეჩოს საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე)
18. დავით ნიჟარაძე (ხაიშის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე)
19. ლევან ნიჟარაძე (ხაიშის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე)
20. ირაკლი ჩხვიმიანი (ჭუბერის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე)
21. ლევან ქანთარია (ხაიშის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე)

0. ტექნიკური ინფორმაცია;
- 1.0 ზემო ხაიშის შუა საუკუნეების ნამოსახლარი
- 2.0 ჭუბერის თემი, სოფელი ზედა ლახამი მეტალურგიული საწარმო
- 3.0 ჭუბერის თემი, სოფელი ქვედა მარლი
- 4.0 ჭუბერის თემი, სოფელი ზედა მარლი. რომაული ხანის საგუმაგო
- 5.0 ფარის თემი, სოფელი ზემო ლუჰა. შუა საუკუნეების ნამოსახლარი
- 6.0 ბეჩოს თემის, სოფელი მაზერი, ადგილი „გომარი“ შუა საუკუნეების სამაროვანი
- 7.0 ბეჩოს თემი, სოფელი მაზერი, „შიხრის“ შუა საუკუნეების საფორთიფიკაციო კედელი.
- 8.0 ფარის თემი, სოფელი ქვედა ლუჰა, (ლუჰას განძი) სპილენძის არქაული ცული და შუბის პირი.
- 9.0 ბეჩოს თემი, სოფელი ქართვანი, ადგილი „ბენიერი“,საიუველირო (საოქრომჭედლო) იარაღები
- 10.0 ბეჩოს თემი, სოფელი ქართვანი. ადგილი „ტირბიში“,მეტალურგიული მადარო
- 11.0 ქვედა იფარი, ადრე შუა საუკუნეების ქოთანი, სამტუჩა დოქი და ქვევრი.
- 12.0 ეცერის თემი, სოფელი ცალანარი წმ. გიორგის ეკლესია (IX-X)
- 13.0 დასკვნა
- 14.0 გამოყენებული ლიტერატურა

## ტექნიკური ინფორმაცია

2011 წლის აგვისტო-სექტემბერში მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტის, მეუფე ილარიონის ლოცვა კურთხევით, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა სვანეთის სასწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციის ამოცანა-მიზანი გახლდათ სვანეთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, ასევე სადაზვერვო არქეოლოგიური კვლევა ძიება. სვანეთის აქამდე უცნობი მატერიალური ძეგლების გამომზეურება. საველე სამუშაოები გაგრძელდა 2012–2013 წლებშიც, განხორციელებული სამუშაოების შედეგად.



სურ.

1

სურ.2

გამოვლენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები: მეტალურგიული კერა ძვ.წ. VIII-VII სს (ჭუბერის თემი, სოფ. ქედა მარლი)<sup>1</sup>(სურ: 1) ანტიკური ხანის მინის საწარმოს ნაშთები ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. (მულახის თემი, სოფ. არცხელი), მრავალფენიანი ნამოსახლარი და სამაროვანი ძვ.წ. XV-IV და V-IV საუკუნეები (იფარის თემი, სოფელი ბოგრემი)ბოგრემი)<sup>2</sup> (სურ.3)



სურ. 3



სურ. 4

<sup>1</sup>ზ.კვიციანი,თ.თოდუა.რ. ხვისტანი, მ. ცინდელიანი, ჭუბერის ძვ. წ. VIII-VII სს-ის რკინის სადნობი ქურა. „საისტორიო ვერტიკალები“, #24,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა გვ. 146-151.თბ.2012.

<sup>2</sup>ზ.კვიციანი, რ.ხვისტანი და სხვები სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, 2012 წელი.)

შუაბრინჯაოს ხანის სამაროვანი(ფარის თემი სოფ.ლუჰა<sup>3</sup>(სურ.4)ანტიკური ხანის მცირე პლასტიკის ნიმუშები, (ბეჩოს თემი ადგილი „ბენიერი“)<sup>4</sup> .(სურ.2) საიუველირო (საოქრომჭედლო) ნივთები(ბეჩოს თემი სოფ..ქართვენი),სოფ..ქართვენი<sup>5</sup> (სურ 5)



სურ 5.



სურ.6



სურ.7



სურ.8

ხაიშის ანტიკური ხანის საკულტო - რელიგიური კომპლექსი,( სოფ.ხაიში)<sup>6</sup> (სურ. 6,7,8) ანტიკური ხანის რკინის მეტალურგიული საწარმო და რკინის ქვის კარიერები (ჭუბერი სოფ.ლახამი).<sup>7</sup> (სურ.9,10)



სურ 9.



სურ. 10

<sup>3</sup> ზ.კვიციანი-სამეურნეო იარაღები სვანეთიდან (ბრინჯაოს ფართობიანი თოხი). „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული”, ტ. XIV, გვ. 22-28 თბ.,2012)

<sup>4</sup> ზ. კვიციანი და სხვები სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები 2011-2012 წლები

<sup>5</sup> ზ.კვიციანი საიუველირო(საოქრომჭედლო)საქმე ძველ სვანეთში. თსუ კრ.ინტერდისციპლინარული არქეოლოგია ტ.2 თბ.2013

<sup>6</sup> ზ.კვიციანი და სხვები.სვანეთში ხუდონჰესის მშენებლობის(დატბორვის) ზონაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები 2013 წელი.)„ზ.კვიციანი– უნიკალური არტეფაქტი ხაიშის ანტიკური ხანის საკულტო კომპლექსიდან(იბეჭდება)

<sup>7</sup> ზ. კვიციანი და სხვები. სვანეთში ხუდონჰესის მშენებლობის(დატბორვის) ზონაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები 2013 წელი.

2014 წლის ივლისში, ექსპედიციის მიერ, გაგრძელდა წინა წელს ხუდონჰესის მშენებლობის ზონაში დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოები. ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში, ჭუბერში, ივარში, ეცერში, ბეჩოში, ცხუმარში, გაგრძელდა ძეგლების გამოვლენა-აღნუსხვა. დეტალურად იქნა შესწავლილი აღნიშნული მიკრორეგიონები და დაფიქსირდა რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი. გაიწმინდა ეცერის თემის სოფელ ცალანარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია. მოხდა ნანგრევებში აღმოჩენილი ლაპიდარული წარწერებისა და არქეოლოგიური არტეფაქტების გამოვლენა და შესწავლა. გარდა ამისა ადგილობრივი მოსახელობიდან შესყიდულ იქნა და მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის გადაცემული იქნა სხვადასხვა სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი უნიკალური არქეოლოგიური არტეფაქტები. ექსპედიციების შედეგად აღრიცხულია ათეულობით არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც მუზეუმებში, ეკლესიებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში იყო გაბნეული. შეიკრიბა და შემოწმდა ამ აღმოჩენათა შესახებ მოსახლეობაში შემონახული ზეპირსიტყვიერი ცნობები, მიკვლეულია არაერთი შემთხვევითი აღმოჩენის ზუსტი ლოკალიზაცია, შემთხვევით აღმოჩენის ზუსტ ადგილებში ჩავატრეთ საველე სადაზვერვო სამუშაოები (ე.წ შურფები) დაზუსტებული და გამოვლენილია უმთავრესი ძეგლების (ზ.მარლი, დოლასვიფი, უშხვანარი, მაზერი, ქვ.ივარი, ტირბიში, ბოგრეში, ხაიში, ლახამი) ქვედა ლუჰა, ქვედა ლუჰა, ხასიათი, ასაკი და მათი ტოპოგრაფია. საველე სამუშაოების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება (რესტავრაცია, ქიმიური ანალიზი)

ამ ეტაპზე ჩვენი პროექტის ფარგლებში ჩვენ შევძელით, რომ გაგვეგრძელებინა და დაგვემთავრებინა პროფ. შ. ჩართოლანის მიერ დაწყებული თანამედროვე - დღევანდელი სვანეთის (ენგურისა და ცხენისწყლის ხეობების) არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხისა და არქეოლოგიური რუქის შევსება და განთავსება ინტერნეტ სივრცეში.

სამომავლოდ ჩვენი კვლევის მიზანია, გავაკეთოთ ისტორიული სვანეთის არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხა თავისი რუქით.

	ობიექტი	კოორდინატი
1	ზემო ხაიშის შუა საუკუნეების ნამოსახლარი	X -0270588 Y -4758288; H625
2	ჭუბერის თემი, სოფელი ზედა ლახამი მეტალურგიული საწარმო	X -0270332 Y -4764915. H797
3	ჭუბერის თემი, სოფელი ქვედა მარლი (ნამოსახლარი)	X -0270318 Y -4765920; H659
4	ჭუბერის თემი, სოფელი ზედა მარლი. რომაული ხანის საგუმბაგო	LAT 43' 01' 04" N LONG 42'10'48"
5	ფარის თემი, სოფელი ზემო ლუჰა. შუა საუკუნეების ნამოსახლარი	LAT 37'93'70" N LONG 50'37'91" E
6	ბეზოს თემის, სოფელი მაზერი, ადგილი „გომარი“ შუა საუკუნეების სამაროვანი	LAT 43'02'17" N LONG 42'34'41" E
7	ბეზოს თემი, სოფელი მაზერი, „შიხრის“ შუა საუკუნეების საფორთიფიკაციო კედელი.	709435.89 m E 9582051.85 m N
8	ფარის თემი, სოფელი ქვედა ლუჰა, (ლუჰას განძი) სპილენძის არქაული ცული და შუბის პირი.	LAT 42'59'53" N LONG 42'34'31" E
9	ბეზოს თემი, სოფელი ქართვეანი, ადგილი „ბენიერი“, საიუველირო (საოქრომჭედლო) იარაღები	300735.89 m E 4765051.24 m N
10	ბეზოს თემი, სოფელი ქართვეანი. ადგილი „ტირბიში“, მეტალურგიული მადარო.	303109.75 m E 4764893.15 m N
11	ქვედა იფარი, ადრე შუა საუკუნეების ქოთანი, სამტუჰა დოქი და ქვევრი.	LAT 43'00'30" N LONG 42'17'29" E
12	ეცერის თემი, სოფელი ცალანარი წმ. გიორგის ეკლესია (IX-X)	43'00'38" N LONG 42'49'24" E

ხუდონჰესის ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ გასულ 2013 წელს დატბორვის ზონაში გაითხარა 10-მდე არქეოლოგიური ძეგლი, ზემო ხაიშში

გასულ წელს გამოვლენილი ძვ.წ. მე-7-6 სს. საკულტო კომპლექსიდან ჩრდილოეთით 200 მეტრში, ადგილობრივი მცხოვრების ზურაბ ნიჭარაძის ბოსტანში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები, კერძოდ ქვევრის პირისა ნატეხები.

აღნიშნულ ადგილზე, ჩვენს მიერ გავლებულ იქნა ორი შურფი. (სურ.11,12 ) თხრილების ზომები 1,1 მ×1,1 მ-ზე. სიღრმე 1,1-1,2 მეტრია. ორივე თხრილში დადასტურდა ერთნაირი სტრატეგრაფია: I-5 სმ. სისქის ჰუმუსი. II-105 სმ. სისქის მოშავო-მოყავისფრო ქვანარევი მიწა. თხრილებში გამოვლინდა კერამიკის ფრაგმენტები, (სურ.13) აღნიშნული ადგილი სავარაუდოდ არის ადრემუასაუკუნეების ნამოსახლარი.



სურ. 11



სურ. 12



სურ.13

ენგურის ხეობაში, ერთ-ერთი არქეოლოგიურად განსაკუთრებულად საინტერესო მიკრო რეგიონია ჭუბერის-ნენსკრას ხეობა. ამ ხეობიდან ცნობილია ანტიკური ხანის ლარილარის კრემაციული სამაროვანი,<sup>8</sup> ძვ.წ.VIII-VII სს. მეტალურგიული ქურები,<sup>9</sup> ანტიკური ხანის (ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს) სტატერების ადგილობრივი მინაბადები,<sup>10</sup> ქვემო მარლის გვიანანტიკური-ადრემუასაუკუნეების პერიოდის სამარხები,<sup>11</sup> ზემო მარლის რომაული ხანის საგუმავო-სამეთვალყურეო კოშკი<sup>12</sup> და უამრავი შემთხვევითი აღმოჩენილი არტეფაქტი, რომელთა ქრონოლოგია იწყება ადრებრინჯაოს ხანიდან და მთავრდება გვიანი შუასაუკუნეებით. <sup>13</sup> ბოლოდროინდელი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ სვანეთი

<sup>8</sup> შ. ჩართოლანი. ლარილარის სამაროვანი, კრ. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1968.

<sup>9</sup> ზ. კვიციანი, თ. თოდუა, რ. ხვისტანი, მ. ცინდელიანი.. ჭუბერის ძვ.წ. VIII-VII სს. რკინის სადნობი ქურა.კრ. საისტორიო ვერტიკალები ტ. XXIV. 2012.

<sup>10</sup> გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, თ. თოდუა. სვანეთი. ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა. 2008.

<sup>11</sup> შ. ჩართოლანი. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988 წლის საველე მუშაობის ანგარიში.

<sup>12</sup> ზ. კვიციანი. სვანეთი რომაულ სასაზღვრო ციხესიმაგრეების სისტემაში. საქართველოს ისტორიის შრომები. VIII - 2014.

<sup>13</sup> შ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი. 2006.



მეტალურგიისა და ოქრომჭედლობის ერთ-ერთი უძველესი კერა იყო.<sup>14</sup> ე.წ. ანტიკური ხანის ზარაფხანის ნაშთებსაც ჩვენ ვარაუდობთ აღნიშნულ რეგიონში. ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით გასულ წელს ამ ხეობაში ვაწარმოებდით არქეოლოგიურ გათხრებს, წელსაც ჩვენ გადავწყვიტეთ გავვეგრძელებინა არქეოლოგიური სამუშაოები ჭუბერის ხეობის სოფლებში ქვ.ლახამი, ზედა ლახამი, ქვ. მარლი და ზედა მარლი. როგორც ავღნიშნეთ ხუდონჰესის ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ გასულ 2013 წელს დატბორვის ზონაში გაითხარა 10-მდე არქეოლოგიური ძეგლი,<sup>15</sup> მიმდინარე წელს გათხრები (დაზვერვები) გავაგრძელებთ დატბორვის მიმდებარე ტერიტორიებზე. კერძოდ: სოფელი ლახამი, სოფელი ქვედამარლი, ზემო ხაიში. მიუხედავად იმისა, რომ მდინარე ენგურისა და მდინარე ნენსკრის სანაპიროებზე მდებარე ზოგიერთი კულტურული მემკვიდრეობის ადგილი არ შედის დატბორვის ზონაში, მათზე შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს ხუდონჰესის პროექტმა. 2013 წლის საველე სამუშაოების დროს, ჭუბერის თემის **სოფელ ზედა ლახამში**, ადგილ „ნალშკიდიშ-“ ში, გოგა ჩხეტანის სამოსახლო საკრმიდამო ნაკვეთში დაფიქსირდა წილებისა და თიხის მილების ფრაგმენტები (სურ. 15).



სურ.14



სურ.15

წელსაც გავაგრძელებთ გათხრები გოგა ჩხეტანის სამოსახლოში, მდ. ნენსკრას (ჭუბრულას) მარჯვენა სანაპიროზე, მდინარიდან დაახლოებით 200 მ-ში, სახლიდან ჩრდ.-ით დაახლოებით 50 მ. დაშორებით, გაიჭრა

**თხრილი №1**, დამხრობილი ჩრდ.-სამხ.-ით. (სურ. 14) თხრილის ზომებია სიგრძე 1=1 მ; სიგანე 1, მ, მაქს. სიღრმე 0,9 მ. თავდაპირველად მოიხსნა ჰუმუსური ფენა, რომლის ქვეშ მიწის მოშავო ფერის ნაყარ ფენაში (სისქე 50 სმ.) დადასტურდა ცილინდრული ფორმის თიხის საქშენი

<sup>14</sup> ზ. კვიციანი. სვანეთი. ოქრომჭედლობის უძველესი კერა. თსუ. ისტორიის შრომები, ტ.III. 2012.

<sup>15</sup> ზ. კვიციანი და სხვები 2013 წლის სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.

მილის ფრაგმენტები, წიდეები და ნახევარფაბრიკატები. მიწის ნაყარი ფენის ქვეშ გაითხრა ღია ყავისფერი მიწის სტერილური ფენა (სისქე 33 სმ.) კენჭოვანი ჩანართებით. როგორც ჩანს აქაც მეტალურგიულ სახელოსნოს ნაშთებთან გვაქვს საქმე.

**ჭუბერის თემის სოფ.ქვ.მარლში ადგილ ლეწფერში** მიწის სამუშაოების დროს მიწის ზედაპირიდან 45 სმ-ზე აღმოჩნდა რკინის მასიური ცული (სურ.16)

ჭუბერული ცულ-ჩაქუჩა ძვ. წ. VII-VI სს-ით უნდა დათარიღდეს. აღნიშნულ მონაკვეთზე აღმოჩენის ადგილიდან 10მ დაშორებით გაივლო ორი შურფი, რის შედეგადაც დადასტურდა კერამიკისა, ბათქაშის ფრაგმენტები და დადასტურდა რკინის ცულ-სატეხი. (სურ.17)



სურ. 16



სურ.17



სურ.18

სადაზვერვო სამუშაოები ჩავატარეთ აგრეთვე ქვემო მარლის ზემოთ აღნიშნული ადგილ „ლეწფერის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ნათელა ჩხვიმიანის საკარმიდამო ნაკვეთში. აღნიშნული ტერიტორია დაფარული იყო ეკალ-ვარდებით, გაწმენდის შემდგომ, ჩატარებული დაზვერვითი მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური მასალა არ გამოვლენილა. (სურ.19,20,21)



სურ. 19



სურ.20



სურ.21

2012 წელს ჭუბერის თემის სოფ. **ზედა მარლში** ადგილ „შხიბარში“ ქართ-წიდა, საველე სამუშაოების შედეგად მიწის ზედაპირიდან 50სმ სიღრმეზე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა „T“ მაგვარი „ხახვისთავიანი“ ბრინჯაოს ფიბულა.(სურ22 ). ზომები სიმაღლე = 1,9

სმ , სიგანე შვერილთან =2,4 სმ რკალის დმ=4 სმ ,ნემსის სიგრძე= 5 სმ,ნემსის ღეროს დმ=0,4 სმ სვანეთის არქეოლოგიაში ეს პირველი შემთხვევაა,მანამდე ამ ტიპის ფიბულა აღმოჩენილი არ იყო.<sup>21</sup> მიმდინარე 2014 წლის სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციის დროს აღნიშნულ ადგილზე ჩვენ ჩავატარეთ საველე-სადაზვერვო სამუშაოები .ეს ტერიტორია ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,რამეთუ ამ მიდამოებში ვვარაუდობთ სწორედ ანტიკური ზარაფხანის ნაშთებს. ამ ტერიტორიას მოსახლება უწოდებს „შხიბარს“, რაც ნიშნავს წიღებს. აღნიშნული ტერიტორია მართლაც მოფენილია წიღებით. .სადაზვერვო თხრილის ე.წ.შურფების გავლების შედეგად. მიწის ზედაპირიდან 50-60 სმ -სიღრმეზე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა წიღები და რკინის შემცველი ქვები (სურ 23)



სურ 22



სურ 23



სურ 24

ადგილ „შხიბარში“-, მდ.ნენსკრას(ჭუბურულას) მარცხენა სანაპიროს შემადგენელი ადგილი,რომელიც ჩანს, რომ სამხედრო- სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანი იყო,(სურ.24) ამ ადგილიდან ჩანს, როგორც ჩრდილოეთიდან მომავალი ბილიკები, ასევე ფაქტიურად ზემოდან დაჰყურებს მთელ ჭუბურის-ნენსკრის ხეობას. ჩვენ ვარაუდით აქ უნდა ყოფილიყო საგუმაგო ციხე-კოშკი ,თუმცა საბოლოო დასკვნის გაკეთებას აქ განხორციელებული არქეოლოგიური გათხრები მოგვცემს. ეს ტერიტორია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ამ მიდამოებში ვვარაუდობთ სწორედ ანტიკური(რომაული) ხანის ე.წ.ზარაფხანის ნაშთებს..საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფიბულის აღმოჩენის ადგილიდან დაახლოებით 300 მეტრში 1913 წელს სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს აღმოჩნდა ალექსანდრე მაედონელისა და ლისიმაქეს ოქროს სტატერების მინაბამები<sup>22</sup> სავარაუდოდ სამარხიდან მომდინარე.

<sup>21</sup> ზ. კვიციანი სვანეთი-რომაულ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეთა სისტემაში. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები ტომი 8. 2014 წ.

<sup>22</sup> ე. გაბლიანი, არქეოლოგიური გათხრები სვანეთში, ჟურნალი დროშა 1930წ. #19

ამ ტიპის ფიბულები ნაპოვნია იმ ადგილებში სადაც რომაული ლეგიონი იდგა მაგალითად ბიჭვინთის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში: სამარხი #419, თარიღი III-IV სს-ები, სამარხი# 158, თარიღი IV ს, ხახვისთავებიანი ნაზარდებით,კოპებით შემკული ბრინჯაოს ფიბულა თხრილი 09.1988, ნაქალაქარის დასავლეთი კარიბჭე თარიღდება III-IV სს-ებით. მასიური ფიბულა ამავე ტიპისა დანგრეული სამარხიდან თარიღი IV ს, „ხახვისთავიანი“ ამავე ტიპის III ს-ის კულტურული ფენიდან, დასავლეთი კარიბჭე. აქვე აღმოჩნდა ორი ცალი,„ხახვისთავიანი“(მოოქრული) ფიბულები თარიღი IV ს.<sup>23</sup> ამ ტიპის ფიბულები გვხვდება რომაულ სირიაშიც<sup>24</sup>. მსგავსი პარალელებით და ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფიბულის თარიღი უნდა იყოს ზოგადად III-IV სს-ე.

ფიბულა რომაელ ჯარისკაცთა შემოტანილი უნდა იყოს, რამდენადაც აღწერილი ნივთები, როგორც წესი, მხოლოდ იმ რეგიონებში გვხვდება, სადაც რომაული გარნიზონები იდგნენ.

კავკასიონის ქედი კარგი წინააღმდეგობა იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-მეომარი ტომების ტრანსკავკასიისა და მცირე აზიაში შემოჭრის რეგულირებისათვის ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა უღელტეხილები, კერძოდ, სვანეთიდან გადასასვლელები, ვის ხელშიც ეს გზები იყო მას შეეძლო კონტროლი გაეწია ჩრდილოკავკასიური მეომარი ტომების მოძრაობისათვის.რომაელების მიერ ადგილობრივ დაქირავებულ დამხმარე რაზმებში რა თქმა უნდა პირველ რიგში სვანები იქნებოდნენ. ჩვენი აზრით აღნიშნულ გადმოსასვლელებს რომაელები აკონტროლებდნენ ადგილობრივი დაქირავებული დამხმარე რაზმების მეშვეობით,რომ აქ პროვინციული ჯარის დამხმარე სასაზღვრო ნაწილები იდგა. <sup>26</sup>

საბოლოო დასკვნა შესაძლებელი იქნება ამ ადგილზე სტაციონალური გათხრების ჩატარების შემდგომ.

სადაზვერვო სამუშაოები ჩავატარეთ ფარის თემის სოფ. **ზემო ლუჰაში**, სადაც 2011 წელს ჩვენ ადგილობრივ მოსახლესთნ ვნახეთ გასულ წლებში მიწის სამუშაოების დრო აღმოჩენილი ბრინჯაოს ფართოპირიანი თოხი, შუა ბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცული და შუბის პირი. სადაზვერვო თხრილების შედეგად გამოვლენილია კერამიკისა და ძვლების

<sup>23</sup> გ.ლორთქიფანიძე,ბიჭვინთის ნაქალაქარი1991;167

<sup>24</sup> R.P. Harper, 1974. II.,33 fig. 11

<sup>26</sup> ლორთქიფანიძე გ. კვიციანი ზ.,გერამე გ. სვენეთი ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა,2008:16); კვიციანი ზ. სვანეთი რომნაულ სასაზღვრო ციხესიმაგრეთა სისტემაში. თსუ შრომები ტომი VIII ,2014.

ფრაგმენტები (სურ.25) აღნიშნული ტერიტორიაზე კერძოდ, თემურ ცალანის საკარმიდამო ნაკვეთში დასტურდება შუასაუკუნეების ნამოსახლარი. (სურ. 26,27)



სურ 25



სურ26



სურ27

ჰუმუსის 10 სანტიმეტრიანი ფენის მოხსნის შემდეგ გამოვლინდა ხრეშოვანი ნიადაგი. თხრილებში მასალა არ აღმოჩენილა 8 თითოეული თხრილის ზომაა სიგრძე 3 მეტრი, სიგანე 1 მეტრი, სიღრმე 30-40 სმ.

სვანეთის შემთხვევაში არქეოლოგიური მონაპოვრებიდან აღსანიშნავია ბეჩოს თემის **სოფელ მაზერში** აღმოჩენილი მწვანე ჭიქურიანი დოქი, რომელიც საქარველოს არქეოლოგიურ მონაპოვრების მიხედვით XII საუკუნით თარიღდება,<sup>27</sup> მოჭიქული კერამიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფილა გავრცელებული სვანეთში. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სვანეთის თემის ეკლესიებში შემონახული სხვადასხვა საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამ სახის ფუფუნების საგნებზე გაზრდილი მოთხოვნილების საბუთია. ჭიქურიანი დოქის აღმოჩენის ადგილი გახლავთ თანამედროვე სოფლის სასაფლაო, სადაც არქეოლოგიური გათხრებისთვის ძალზედ მცირე ტერიტორია არსებობს. ჩვენ გავაკეთეთ საცდელი შურფი, სადაც კულტურული ფენა არ დადასტურდა.(სურ.28) შემდგომ ამავე სოფლის ადგილ „**კელერში**“ გავაკეთეთ რამოდენიმე საცდელი თხრილი, ასევე აღმოჩნდა სტერილური,(სურ.29) თუმცა აღნიშნული თხრილიდან ჩრდილო აღმოსავლეთით 300 მ-ში დადასტურდა შუა საუკუნეების საფორთიფიკაციო კედელი, რომლის სიგრძე თითქმის 1 კილომეტრია, კედლის სისქე თითქმის მთელ პარამეტრზე 1მ უდრის, ხოლო შემორჩენილი კედლის მიმალლე 30-50 სმ სიმაღლისაა.(სურ.30)

<sup>27</sup> შ. ჩართოლანი, მასალების სვანეთის არქეოლოგიისათვის.თბ. 1976წ.



სურ.28



სურ.29

სურ.30

აღნიშნული მასალის გარდა აღსანიშნავია სვანეთის სხვა არქეოლოგიური მონაპოვრები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ მოსახლეობაშია გაბნეული და შესაძლებელია მათი ოფიციალური შესყიდვა. ჩვენი ექსპედიციის მიერ პროექტით გათვალისწინებული ხარჯებით შესყიდული იქნა 30 მდე უნიკალური არქეოლოგიური არტეფაქტი და ჩავაბარეთ სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული არტეფაქტების დიდი ნაწილი უნიკალურია არა მარტო სვანეთის არქეოლოგიური სინამდვილისათვის, არამედ მათი აღმოჩენის პირველი შემთხვევაა საქართველოს ტერიტორიაზე (მაგ.საოქრომჭედლო იარაღები, თიხის „კვერცხი“ და სხვა)

ჩვენთვის ცნობილი გახდა ძალზე საყურადღებო შემთხვევითი მონაპოვრები, სპილენძისა და ბრინჯაოს კოლექცია.

ჩატარებული ინტენსიური ძიების შედეგად მივაკვლიეთ და დავაზუსტეთ ქვემოთ მოტანილი სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთების აღმოჩენის ადგილს.ეს არის მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის თემი, ადგილი ქვემო ლუჰა. ლუჰას კოლექცია აღმოჩნდა 1984 წელს მდ. ენგურში (მარჯვენა სანაპირო) ოქროს ძიების დროს, ადგილობრივი მცხოვრების გივი დადეშქელიანის მიერ. კოლექციაში შედის: ა) ცული–სპილენძის ყუამილიანი, ბ) სატევარი– სპილენძის, გ) შუბისპირი ბრინჯაოსი (სურ.31,32,33)



სურ.31



სურ.32



სურ.33

ა) ცული-სპილენძის ყუამილიანი . მოკლე სატარე მილი წინა მხარეს ოდნავ უფრო ფართოა, გარედან შესამჩნევად მოყელილი. ტანი პირისაკენ თანდათანობით თხელდება და ოდნავ ფართოვდება.

სამუშაო პირის არეში უკანა ნიღრის ხარჯზე წინა ნიღრი დაბალია და ოდნავ წინწამოწეული უკან- ბევრად უფრო მაღალი და მკვეთრად გამოსახული. ტანი იღლის არეში ოდნავ ვიწროა და . პირის ფორმა და გორდა მჭრელი ფხა დაახლოებით ნახევარმთვარეს მოგვაგონებს. აღმოჩენის ადგილი . მესტია, სოფ.ქვედა ლუკა ა ზომები: ცულის სიმაღლე -10 სმ, სატარე მილის დიამეტრი გარეთა - 2,7 სმ, შიგნითა -2,5 სმ,სამუშაო პირის სიფართოვე -6 სმ, სიფართოვე შუაწელზე-5სმ. შუბლის სისქე -2სმ, შუბლის სისქე შუა წელზე -1,სმ. ყუის თავის სიფართე-4.

ბ) სატევარი-სპილენძის-ტანი პირისკენ თანდათან ვიწროვდება მოტეხილი აქვს სატარე ყუნწი, ახასიათებს ალისებური თხელი პირი (შ.ჩართოლანი სპილენძის უძველესი იარაღები სვანეთიდან.საისტორიო კრებული ტ.მე 2 თბილისი 1971წ) პირის სიგრძე=15 სმ.პირის მაქსიმალური სიფართოვე 2სმ- სპილენძის სატევარის აღმოჩენა პირველი შემთხვევაა სვანეთის არქეოლოგიაში.

გ)შუბის პირი. - ბრინჯაოსი ნაკლული , მოტეხილი აქვს წვერი და მასრის ნაწილი, მასრა გახსნილი, პირი გრძელი, შუა ხაზზე მკვეთრად აქვს გამოსახული წვერამდე გამყოლი ფართო მრგვალგანიკვეთიანი ქედი, ფრთების სისქე მჭრელი პირისაკენ თანდათანობით მცირდება მაღალი ქედი და დაშვებული მხრები, თითქმის სამკუთხა მოყვანილობის ბრტყელგანიკვეთიანი, გვერდებზე ოდნავ ნაკლული ტანი პირისკენ თანდათანობით ვიწროვდება შემორჩენილი სიგრძე =10სმ გააჩნია საშუალო ზომის გახსნილი მასრა, მასრის დიამეტრი-1.7სმ, პირის მაქსიმალური სიფართოვე 2სმ- პირის სიგრძე- 8სმ.ს.ხორკლიანი ზედაპირი დაფარულია მუქი მწვანე კეთილშობილი პატინის თხელი ფენით. შუბისპირი შემთხვევით არის ნაპოვნი .მესტიის მუნიციპლიტეტის სოფლებს ლეჰასა და ლახამულას შორის ადგილ „ლაფმად“-ის ტერიტორიაზე მდ. ენგურაში ოქროს ძიების დროს ზემოთ აღწერილ სპილენძის ცულთან და სატევართან ერთად.

სვანეთში აღმოჩენილი სპილენძის ყუამილიან ცულებს შორის გამოირჩევა ადრეული და განვითარებული ფორმები.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია სპილენძის ორი არქაული ცული, ერთი მათგანი ნაპოვნია იფარის თემში, სოფ. წვირშიში, ხოლო მეორე – ჭუბერის ხეობაში. აღნიშნული ცულები საგანგებოდ შეისწავლა და გამოაქვეყნა შ. ჩართოლანმა<sup>28</sup> საგანგებოდ უნდა აღნიშნოს, რომ სვანეთის ცულების მორფოლოგიური ნიშნების ანალიზმა და შეჯერებამ კავკასიაში აღმოჩენილი სპილენძის ყუადაქანებული ცულების უძველეს ნიმუშებთან, ნათელყო მათი სიახლოვის მრავალი ზოგადი და კონკრეტული ნიშანი

საქართველოში აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღების ფონზე შესაძლებელი ხდება წარმოდგენა ვიქონიოთ ყუამილიანი ცულების ტექნიკური განვითარების ზოგად სურათზე. ლუჰას ცულის საშუალო ქრონოლოგიური ადგილი უნდა მივაკუთნოთ ძვ.წ. 3 ათასწლეულის შუა ხანებს შორის. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კავკასიაში აღმოჩენილი სპილენძის არქაული ცულების გენეზისთან დაკავშირებით ხშირად მიუთითებენ მესოპოტამიაში ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე გავრცელებულ სპილენძის ყუადაქანებულ ცულებზე, რომელთაც თიხის მოდელების სახით მოაღწიეს ჩვენამდე.<sup>29</sup> არქეოლოგთა შორის მიღებული მოსაზრებით, კავკასიაში ყუადაქანებული ცულების ჩამოსხმა, ხშირ შემთხვევაში, წინააზიური ნიმუშების მიბადვით ხდებოდა. თუმცა ლოკალურ ფორმაში. სვანეთის ცულები ამ თვალსაზრისითაც ტრადიციული არის; იფარის ცული მსგავსია ურისა და ჯემდეთ-ნასრის ტრაპეციული ცულებისა,<sup>30</sup> ხოლო ჭუბერის ცული კი საყურადღებო მსგავსებას ავლენს კრეტაზე აღმოჩენილ ცულებთან.<sup>31</sup>

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ საფუძველი გვაქვს ვცადოთ სვანეთის ცულების ასაკის დადგენა. არქეოლოგიური ლიტერატურის მიხედვით, ყველა პარალელი, რომელიც სვანეთის ცულებს კავკასიაში თუ მის ფარგლებს გარეთ მოემბნებათ, გავრცელებული იყო ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების საწყის საფეხურზე. ამ ზოგად ქრონოლოგიურ განსაზღვრებასთან ერთად, დასახელებული ტიპის იარაღის ცალკეული ნიმუშების ზუსტი ასაკის შესახებ არაერთ მკვლევარს აქვს თავისი მოსაზრება გამოთქმული. ვ. ლუბინმა და ბ.კუფტინმა ადრევე გამოთქვეს ვარაუდი იალბუზის ტიპის

<sup>28</sup> შ. ჩართოლანი. სპილენძის უძველესი იარაღები სვანეთიდან, საისტორიო კრებული, ტ. II თბ. 1971, გვ. 297-346.  
<sup>29</sup> ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ისტორიისათვის, ლითონის წარმოების ადრინდელ საფეხურზე. 1955  
<sup>30</sup> შ. ჩართოლანი ძველი სვანეთი თბ. 1996წ.  
<sup>31</sup> შ. ჩართოლანი. დასახელებული ნაშრომი გვ. 42



ცულების „ენეოლითურ“ (მტკვარ-არაქსის) კულტურის ხანაში გავრცელების შესახებ. პროფ. ო. ჯაფარიძეს ისინი მიაჩნია ყადაქანებული ცულების ყველაზე ადრეულ ფორმად, რომელიც ჩვენში გავრცელებული იყო „ენეოლითიდან“ ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში, რაც ქრონოლოგიურად ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისს, დაახლოებით 2400 წელს ემთხვევა.<sup>33</sup> დ. ქორიძემ ზაჭესის და სვანეთის (იფარის) ცულები ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს მიეკუთვნა.<sup>34</sup> ტ. ჩუბინიშვილი საქართველოს უძველეს ცულებს ზოგადად ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს.<sup>35</sup> მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრისად მიიჩნევს ა. მარტიროსიანი სომხეთში აღმოჩენილ ლითონის არქაულ ცულს და ასეთი ცულების ჩამოსასხმელი ყალიბების შემცველ კომპლექსებს,<sup>36</sup> სპილენძის უძველესი ყადაქანებული ცულების ასეთი განსხვავებული დათარიღება, სხვა ფაქტორებთან ერთად, აღმოჩენათა ტოპოგრაფიითაც ჩანს განპირობებული. მიღებული მოსაზრებით, ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების ადრეული ეტაპი ყველა ქვეყნისათვის არ არის ერთდროული მოვლენა. იგი ქრონოლოგიურად უფრო ადრე ჩაისახა წინა აზიაში, საიდანაც გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში, და მათ შორის ჩრდილოეთში (მცირე აზია, ამიერკავკასია, ჩრდილო კავკასია, აღმოსავლეთ ევროპა და ა.შ.). ბრინჯაოს მეტალურგიის ასეთ, გეოგრაფიულ-ქრონოლოგიური გზით, გავრცელებას ადასტურებს კავკასიის სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილი საკვლევი ტიპის იარაღებისათვის ზემოთ დასახელებული თარიღებიც. ამავე ავტორთა ერთი ნაწილი სრულიად სამართლიანად მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ამ იარაღებმა თანდათანობით გავრცელების გზაზე რამდენადმე იცვალა სახე და ჩამოყალიბდა ცალკეულ ფორმათა ადგილობრივ ვარიანტებად.

აღნიშნული დებულების გათვალისწინებით, უფრო იოლად იხსნება სვანეთის ცულების ტოპოლოგიური და აღმოჩენათა გეოგრაფიული ნიშნებისათვის დამახასიათებელი შუალედური ადგილი კავკასიის მონაპოვრებს შორის, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სვანეთის ცულები თითქმის თანადროულად, ან ოდნავ უფრო გვიანდელია, ვიდრე საქართველოში აღმოჩენილი ყადაქანებული ცულების ყველაზე

<sup>33</sup> მიძიგური ლ, ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა თბ.1994, გვ. 110.

<sup>34</sup> დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ.52 დასახ. ნაშრომი, გვ.146

<sup>35</sup> ტ. ჩუბინიშვილი, მტკვარისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ. 1965

<sup>36</sup> გ. ინანიშვილი, შ. ჩართოლანი, ბ. მასისურაძე. საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები, ძიებანი, №2, 1998.

ადრეული ნიმუშები: ზაჰესის, იალბუზის, ქულბაქების და სხვა. მაგრამ აშკარად წინ უსწრებენ სოფ. ნაომარის, მეჯვრისხევის, ყიზილაჯლოსა და ეშერის უფრო განვითარებულ, ფართოპირიან ყუადაქანებულ ცულებს. რაც შეეხება ჩრდ. კავკასიიდან მოტანილ პარალელებს, ისინი ასაკით რამდენადმე უფრო გვიანდელია, ვიდრე სვანეთის ცულები და, შესაძლებელია, სვანეთის გზითაა გავრცელებული ჩრდ. კავკასიაში. მამასადამე, სვანეთის ცულების ზოგად თარიღად შეიძლება ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანები მივიჩნიოთ.

სვანეთის უძველეს ცულებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სპილენძ-ბრინჯაოს იარაღების ტექნიკური განვითარებისა და ტერიტორიული გავრცელების დიაგრამის ზოგიერთი ხარვეზის შესავსებად. ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით, ჩვენში სპილენძის ყუადაქანებული ცულების ყველაზე ადრეული ფორმები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი იყო გენეტიკურად მათთან დაკავშირებული, მაგრამ გაცილებით უფრო გვიანდელი ხანის სოფ. ნაიმარისა და ეშერის ფართოპირიანი ცულები.<sup>41</sup> სვანეთის მონაპოვარს გარკვეული კორექტივი შეაქვს ამ მოსაზრებაში. რამდენადაც დავრწმუნდით, რომ სვანეთის ცულები აღმოსავლეთ საქართველოს არქაული ცულების თითქმის თანდროული და, ამავე დროს, წინამორბედი დასავლეთ საქართველოს სოფ. ნაომარის და ეშერის ცულებისა, რომელთაც ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად მოსდევს საჩხერული ტიპის ვიწრო ტანიანი ყუადაქანებული ცულები, ამდენად, ჩვენ საშუალება გვემლევა, დასავლეთ საქართველოს მონაპოვრების მიხედვით, წარმოვიდგინოთ სპილენძის ყუადაქანებული ცულების ტიპოლოგიური ევოლუციის სქემატური, მაგრამ უწყვეტი სურათი, სადაც სვანეთის ცულები ჯერ სოფ. ნაომარისა და ეშერის ფართოპირიანი ყუადაქანებული ცულები, ხოლო შემდეგ – საჩხერული ტიპის ვიწროტანიანი ცულები, ასევე დიდი რაოდენობით ნაპოვნი სვანეთის და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში.

მთლიანად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის არქაული ტიპის ყუადაქანებული ცულების აღმოჩენათა რაოდენობა მაინცდამაინც ბევრი არ არის,

---

<sup>41</sup> ო. ჯაფარიძე, ქართველი ისტორიისთვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე 1955 გვ.93; დ. ქორიძე კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ.52

რამდენადაც ამ ტიპის იარაღებმა საერთოდ ვერ ჰპოვა ჩვენში ხანგრძლივი გავრცელება და მალე დაუთმო ადგილი უფრო განვითარებულ ფორმებს.<sup>42</sup> გარდა ამისა, აღმოჩენათა იშვიათობა, მსგავსად წინა აზიისა, ნაწილობრივ აქაც შეიძლება ახალი ფორმის იარაღების ჩამოსასხმელად მათი ხელახალი გადადნობით იყოს გამოწვეული.

**სპილენძის სატევარი** ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული იარაღია ლითონის წარმოების ადრინდელ ეტაპზე, რომელცი როგორც ჩანს, ადგილობრივ უნდა შექმნილიყო. გვხვდება, როგორც უყუნწო ისე ყუნწიანი სატევრის პირები, კარგადაა წარმოდგენილი ეს იარაღი საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე.

ჩვენს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი აღნიშნული მიკრორეგიონი, აღსანიშნავია, რომ ამ მიკრორეგიონში სადაზვერვო და მითუმეტეს სტაციონალური გათხრები არ ჩატარებულა. შემთხვევითი აღმოჩენის ზუსტ ადგილებში ჩავატრეთ სადაზვერვო სამუშაოები (ე.წ შურფები) ჩვენს მიერ გავლებული იქნა ორი შურფი. (სურ. 34,35) თხრილების ზომები 1, მx1, მ-ზე. 1მ X 3მ სიღრმე, 2 მეტრია. კულტურული ფენები არ დადასტურებულა.



სურ.34



სურ.35

**ქართვეანის კოლექცია** გასული საუკუნის 80-იან წლებში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებს ქართვეანისა და ცხუმარს შორის ადგილ ბენიერთან მდინარე ენგურში ოქროს მამიებლების მიერ, აღმოჩენილი იქნა სპილენძისა და ბრინჯაოს საიუველირო (საოქრომჭედლო იარაღები). სამწუხაროდ შეუძლებელია ქართვეანის კომპლექსის აღმოჩენის ადგილის დათვალიერება, (რადგან იქ წყალია და ბოლომდე გარკვევა იმაში,თუ რა ხასიათის ძეგლიდან უნდა მომდინარეობდეს ეს შემთხვევითი მონაპოვარი

<sup>42</sup> ო. ჯაფარიძე, დასახელებული ნაშრომი გვ. 103.

კოლექცია. თუმცა მოტანილი ნივთების შემცველობა და მისი მრავალსახეობა უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ წინასწარი დასკვნები და ქართვეანის მასალები ჩავთვალოთ დანგრეული სამარხების კუთნილებად. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით გაურკვეველია რა ტიპის სამარხებში უნდა იყოს აღმოჩენილი ეს მასალა, არტეფაქტების კომპლექტი: ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აღნიშნული არტეფაქტები აღმოჩენილია ქართვეანის ბრინჯაოს ხანის ცნობილი სამაროვნისა და აღმოსავლეთით 300 მეტრში, აღნიშნული სამაროვნის ფერდობის ძირში მდ.ენგურის სანაპიროზე (შესაძლებელია სამაროვნის ინვენტარი ჩარეცხილი იქნა ნიაღვარის მიერ) აღნიშნული ნივთებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრინჯაოს მინიატურული ცულ-ჩაქუჩი, ქართვეანის კოლექციაში შემდეგი სახის ნივთებია წარმოდგენილი.

ა) ბრინჯაოს მინიატურული ცულ-ჩაქუჩი (სურ.37), ბ)საკინძი-სპილენძის, მთლიანად ასხმული ბრტყელთავიანი გველის(?) გრავირებული მხატვრული გამოსახულებით.(სურ 36), გ)ტერფის ფორმის სპილენძის მინიატურული ნივთი, (სურ 39), დ) სპილენძის მინიატურული ლითონის საკიდი და კედლის ფრაგმენტი (სურ.36) ე)სპილენძისავე მრგვალთავიანი კანფარინი.. (სურ 38)



სურ.39

სურ.36

სურ. 38

სურ.37

ცულ-ჩაქუჩი-ბრინჯაოსი მინიატურული ბრტყელი პირით, ხვრელის ადგილას ოდნავ ამოზნექილი, სატარე ხვრელი ოვალური მოყვანილობის,დმ.0,3სმ.წვეტი წაჭრილი. წერაქვის ოთხივე მხარეს დატანილია თევზიფხური ორნამენტი .ზომები : სიგრძე –3,0სმ,,ცულის პირის სიგანე –0,6სმ,ცულის სიგრძე – 1,0სმ, წერაქვის სიგრძე – 1,6სმ,წერაქვის სიგანე – 0,3.

კანფარინი (წვეტიანი სადგისის ფორმის თეგი) სპილენძის, ქვეწარმავლის სტილიზებული გამოსახულებით, შესქელებული ზედა ნაწილი, რომელიც კუდისკენ თანდათან ვიწროვდება, კუდი წვეტიანია და ზემოთ არის აპრეხილი. გამოსახულება ზემოდან

მომრგვალებულია, შიგნიდან-ბრტყელი. პირის ნაწილი წაჭრილია. სიმაღლე -3,8სმ. დმ - ცხვირთან -0,2სმ, დმ. თავთან -0,4სმ, დმ. ზურგთან - 0,3სმ, დმ. კუდთან -0,1სმ.

წვეტიანი, სადგისის ფორმის თევს კანფარინი ეწოდება, რომლის საშუალებითაც საგნის ზედაპირზე დაიტანება სურათი, რომელიც გად მოაქვთ ფურცლიდან და მისითვე კანფარირებენ ორნამენტის ფონს, წარწერებს ან გამოსახულებებს ანუ ზედაპირს აკეთებენ მქრქალსა და მარცვლოვანს. კანფარირებულ ფონზე მკვეთრად გამოისახება თეგური, ბრწყინავი მოხაზულობები.

თეგი სამი ნაწილისაგან შედგება – სამუშაო ანუ თავი, ტანი, ანუ ღერო და საცემი.

ძვირფასი ლითონებისაგან მხატვრულ ნაკეთობათა დამზადებისას ხელით დამუშავების მეთოდები ოდითგანვე იყო ცნობილი. ასეთია: ჭედვა, კვერვა, თეგვა, ჩამოსხმა, გრავირება, ფილიგრანი, ჭვირვა და სხვ. ისინი სრულდება ხელით, შრომატევადი და მცირეწარმადობისაა, ამიტომ გამოიყენება უნიკალური ნივთების დასამზადებლად.

თეგვის ტექნოლოგიური პროცესი შემდეგში მდგომარეობს: 1) ნამზადის შერჩევა; 2) სათეგი ჭურჭლის ფორმის მიღება; 3) თეგვის პროცესი და 4) ნაკეთობების შემკობა (მოსევადება, გრავირება, მომინანქ რება და სხვ). **საკიდი სპილენძის**, თავი ლურსმნისებრი, ბრტყელი, მრგვალი, ცალი მხარე მოტეხილი აქვს, მასზე მიმაგრებულია საკიდი მოკაუჭებული წვერით. საკიდი ზემოდან ოდნავ მომრგვალებულია, შიგნიდან ბრტყელი. სიმაღლე -1სმ. თავის დმ - 1,1სმ, საკიდის სიმაღლე -0,8სმ, საკიდის ღეროს დმ-0,4სმ.

**ტერფის ფორმის სპილენძის ნივთი.** სიმაღლე -0,5სმ, სიგრძე -2,4სმ, სიგნე -0,7სმ, სიგანე ქსლთან -0,3სმ.საკინძი.

**საკინძი - სპილენძის**, ქვეწარმავლის სტილიზებულ გამოსახულებით. ტანი ზემოდან მომრგვალებულია, ქვემოდან ბრტყელია, ყელიდან კუდის მიმართულებით ტანი თანდათან ვიწროვდება , წვეტი მოტეხილია, შუბლიდან ტანის შუაწელამდე გაუყვება ამოკაწრული ხაზი, რომლის ორივე მხარეს ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ხაზებია დატანილი. გველის (?) თავი ბრტყელია, აქვს მოკლე ყურები, თვალები გამოსახულია რელიეფური წრეებით, რომელსაც გარშემო ორი ირგვლივი ხაზი შემოუყვება. ცხვირის ადგილი ოდნავ გამოყოფილია, მრგვალი, წვერი წაჭრილი აქვს შუბლზე, ყურებს შორის

ერთმანეთის ქვევით ორი წყვილი დაბალი ფოსფა დატანილი ასეთი სამი ფოსფა დატანილია მათ ქვემოთ ცხვირამდე. ცხვირზე წერტილებით ნაპირებში ნესტოებია გამოყვანილი. გამოსახულების, როგორც ზედა ასევე ქვედა ნაწილი ბრტყელია. სიგრძე -5,2სმ, დმ -ცხვირთან -0,2სმ, დმ. ყურებთან - 0,8სმ, დმ. ზურგთან -0,4სმ, დმ. კუდთან -0,2სმ.

ლითონის ნაკეთობებს ჩაუტარდა რენტგენოფლუორესცენტული ანალიზი, (ცხრილი 1) რომლის შედეგებით დგინდება, რომ ზოგიერთი წარმოდგენილი მასალა არაერთგვაროვანი ქიმიური შედგენილობით ხასიათდება. გვაქვს ერთი ნიმუში თუთიიანი, დანარჩენი კალიანი. ჩვენ მიერ თითოეულ ნიმუშში განსაზღვრული იქნა ქიმიური შედგენილობა რამდენიმე წერტილში. საკინძის ქიმიური შედგენილობა ცვალებადობს შემდეგ ფარგლებში:

- კანფარინი (№1-1') Cu 88,14 – 88,02 %, Zn 9,14 – 9,47 %
- გველთევზა (საკინძი) (№2-2') Cu 84,72 – 86,99 %, Sn 11,10 – 15,10 %
- ცულ-ჩაქუჩი (№3-3') Cu 44,12 – 64,45 %, Sn 34,20 – 50,57 %

ფეხისტერფი და სახელური (№4-4') თითქმის სუფთა სპილენძითაა წარმოდგენილი:

Cu 93,99 – 95,61 %, Sn 3,08 – 3,24 %

ირმის თვიანი საკინძი (№5-5') Cu 76,45 – 77,08 %, Sn 13,56 – 22,10 %

ისრის პირი (№5"-5'") სუფთა სპილენძი Cu – 98,35 %

რენტგენოფლუორესცენტული ანალიზის შედეგები ცხრილი 1

№	ნივთის დასახელება	ელემენტის შემცველობა, (%)						
		Fe	Cu	Zn	As	Pb	Sn	Sb
1	კანფარინი	0,06	88,14	9,14	-	1,74	0,66	-
2	გველთევზა	0,58	84,72	0,33	-	0,06	15,10	0,11
2'	(საკინძი)		86,99	0,16	-		11,10	-

3	ცულ-ჩაქუჩი		44,12	0,59	-	2,06	50,57	
3'			64,45247	0,26557		1,06856	34,2034	
4	ფეხისტერფი		93,99	0,71	-	1,05	3,24	
4'	სახელური		95,61795	0,22851		1,05566	3,08789	
5	ირემისთავიანი საკინძი		76,45	0,11	0,04	0,58	13,56	0,80
5'			77,08751	0		0,79921	22,10328	0,73
5''			98,35726	0		0,51576	1,11698	
5'''	ისრის პირი		97,50	0,12	0,03	0,36	0,97	

დღემდე სვანეთში მიკვლეული არ იყო ხელოსნის იარაღები, სამკაულთა დასამზადებელი ყალიბები ან სხვა უფრო კონკრეტული მანიშნებელი ოქრომჭედელთა სახელოსნოების არსებობისა, მაგრამ ზემოთ განხილული მაგალითებიც კი უკვე საკმაოდ საფუძველს იძლევა სვანეთში ოქროს მხატვრული დამუშავების საკითხისთვის.

სვანეთში ოქრომჭედლობის ცენტრის არსებობის აღიარებისას, საჭირო ნედლეულის – ოქროს ადგილზევე ძიება. მეცნიერული კვლევის თანამედროვე დონეზე, სახელოსნო ცენტრების. კერძოდ, ოქრომჭედლობის ცენტრების დადგენისას სწორედ ადგილობრივი ნედლეულის არსებობაა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორთაგანი. (სურ40, 41,42).



#### სურ.40

#### სურ.41

#### სურ.42

სვანეთში მართლაც არის ნაპოვნი ჩამოსხმული ოქროს ვერძები, ოქროსაგან გამოძერწილი ხარის ქანდაკება<sup>53</sup>, ერთი მათგანი დღესაც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ოქროს გველი (გველთევზი), ოქროს თასი რომელიც ნაკიფარის წმ.გიორგის (ჯგურაგის) ეკლესიისათვის შეუწირავთ და დღესაც იქ ინახება. (სურ 45) ლასილში აღმოჩენილი ოქროს ნივთების საჭედად ხმარებული კვერი (კვათხ) და პატარა ცული (კადა), ლასილსა და აცშია აღმოჩენილი ნაჯახები, ორკაპიანი ისრები, ოქროს ბაყაყები და თევზისნაირი გამოსახულებები.

შემორჩენილია გარკვეული დანიშნულების სხმული და სხვადასხვა შემცველობის ზოდები, რაც დასტურია იმისა, რომ აქაური ოქრომჭედლები ამუშავებდნენ, როგორც ძირეული საბადოებიდან მოპოვებულ ოქროს ნედლეულს, ასევე ქვიშრობიდან მოპოვებულ ხალას მასას. არქეოლოგიური ლითონური მასალის (ოქრო) დეტალურმა მიკრორენტგენოსპექტრალურმა ანალიზმა და მისმა შედარებამ თვითნაბადი ოქროს ქიმიურ შედგენილობასთან მრავალი საგულისხმო ფაქტი მოგვცა, ასეთი სახით დამზადებულ ნაკეთობებში იდენტური მინერალური ჩანართები და ქიმიური ელემენტების მიკროკომპონენტები ისეთივე რაოდენობით, ფორმითა და განაწილების თავისებურებებითაა, როგორც თვითნაბად ოქროში.

<sup>53</sup> ე. გაბლიანი, არქეოლოგიური გათხრები სვანეთში, ჟურნალი დროშა 1930წ. #19



ცხრილი 1 ზემო სვანეთის ოქროს ქიმიური შემადგენლობა

ნაშუქის №	მხარე	ნაშუქის აღების ადგილი	ანალიზის №	ელემენტის პროცენტული შემცველობა										
				Au	Pb	Cu	Fe	Te	Ca	Sb	Ag	Cd	Si	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1	თეთისბაღი ოქრო	აღმშკალა	1	91.55	-	0.37	0.02	-	-	-	5.76	-	0.05	97.75
			2	90.79	-	0.57	0.04	-	-	-	5.4	-	0.12	96.92
			3	93.06	-	0.64	-	-	-	-	6.07	-	0.16	99.93
			4	91.89	-	0.7	0.26	-	-	-	6.24	-	0.05	99.14
2		ლახლახასი ცაფისი ბარეჯის	9	88.73	0.71	0.27	6.16	-	-	-	1.86	-	0.18	97.2
			10	96.49	-	0.26	0.58	-	-	-	2.25	-	0.05	99.63
			11	90.03	1.34	0.11	4.45	-	-	-	2.04	-	0.04	96.67
			12	93.2	0.41	0.17	0.07	-	-	-	2.34	-	0.32	96.1
3		ენგურის ხეობა	13	95.12	0.28	-	0.11	-	-	-	1.73	-	0.19	97.15
			14	89.56	1.37	0.09	0.16	-	-	-	2.21	-	2.09	94.11
			15	97.42	-	0.09	0.11	-	-	-	1.5	-	0.18	99.3
			16	92.55	1.02	0.03	1.52	-	-	-	1.25	-	0.35	96.72
4		სოფ. იული	17	93.65	0.22	0.05	0.03	-	-	-	3.25	-	0.05	97.03
			18	96.23	-	0.06	-	-	-	-	3.14	-	0.09	99.52
			19	96.73	-	0.07	-	-	-	-	2.95	-	0.09	99.84
			20	95.84	-	0.14	0.03	-	-	-	3.05	-	0.09	99.15
			21	88.25	1.05	-	0.37	-	-	-	5.25	-	-	94.92

ოქრომჭედლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღესაც ცოცხლობს.,ჩვენი აზრით ბეჩოს კოლექცია საიუველირო-(საოქრომჭედლო) დანიშნულების უნდა იყოს შესაძლოა ოქრომჭედლის-ხელოსნის სამარხიდან იყოს მომდინარე

ამავე ტერიტორიაზე ადგილ ბენიერიდან 300 მეტრით დაშორებით ჩრდილოეთით, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, კლდის ფერდზე მდ. ენგურიდან 50 მ. სიმაღლეზე 2013 წელს ჩვენ დავაფიქსირეთ მადნის მოსაპოვებელი მადარო (შტოლნი). ზომები 150X250 (სურ.46)



სურ.46




სურ.48

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოლხეთის მთიან ზოლში გამოვლენილი ძეგლები ადგილობრივი მეტალურგიის შექმნილია<sup>55</sup> არქეოლოგიური მასალების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური და მხატვრული ანალიზის გარდა ეს დასკვნა დაფუძნებულია სპილენძის ძველი სამთამადნო გამონამუშევრების აღმოჩენის ფაქტებზე.(სურ.47) სვანეთში არსებობდა სპილენძის მოპოვებისა და დამუშავებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი წინაპირობა: ბუნებრივი რესურსების სიუხვე და მრავალფეროვნება, რამაც ისტორიულად ხელსაყრელი პირობები შექმნა ამ ტერიტორიაზე ბინადარი ცხოვრებისა და მეურნეობის ძირითადი დარგების მეტალურგიის, მესაქონლეობასა და მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებისათვის.<sup>56</sup> გასულ წელს ჩვენს მიერ მოხდა აღნიშნული მდაროს დაზვერვა. მოვახდინეთ მისი ფოტოფიქსაცია, 2014 წელს უკვე გვქონდა შესაბამისი ინვენტარი: ე.წ. პროექტორი, რკინის ქუდი ე.წ. კასკა ალპინისტური წერაქვი და თოკი, ექსპედიციის ხელმძღვანელი პირადად შევიდა აღნიშნულ მდაროში, რომლის ზომებია 150 სმ. სიმაღლე და 140–150სმ სიგანე, თუმცა შიგადაშიგ მერყეობს ზომები, დაახლოებით 10 მეტრ სიღმეზე მისი ზომა სიმაღლეში 70– 80 სმ-ია, ამის შემდგომ გვირახის მიმართულება მიდის დაბლა, ხოლო რანდენი მეტრში მიმართულებას ისევ ზემოთ იღებს , ბოლოსკენ გვირახის რადიუსი ფართოვდება, მთლიანად გვირახის სიგრძე უდრის 25–27 მეტრს. ჩვენ ავიღეთ მდაროს კედლის სინჯი საანალიზოდ.ქიმიური შედგენილობის დადგენის მიზნით. გადავეცით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკურ ცენტრს, რენტგენოფლოუორესცენტული ანალიზის შედეგად დგინდება:

**შლიფი №3. ტირბიში (ბეჩოს ხეობა)** მიკროსკოპში ქანი წარმოდგენილია რკინის ჰიდროჟანგის (ლიმონიტი) ფოროვანი მასით. ფორები ცარიელია. იშვიათად გვხვდება კვარცის წვრილი მარცვლები. (სურ48)

<sup>55</sup> შ. ჩაროლანი, ძველი სვანეთი 1996

<sup>56</sup> ზ.კვიციანი, თ.თოდუა, რ.ხვისტანი, მ.ცინდელიანი-ჭუბერის ძვ. წ. VIII-VII სს-ის რკინის სადნობი ქურა. „საისტორიო ვერტიკალები“, #24,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა 2012,გვ. 146-151; ზ. კვიციანი - საოქრომჭედლო (საიუველირო) იარაღები ძველ სვანეთში ინტერდისციპლინარული ტ.2 2013).



სურ.48

აღნიშნული მაღაროს ძირში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოქროს ძიების დროს ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ გასულ საუკუნის 80-იან წლებში მოპოვებული იქნა საიუველირო (საოქრომჭედლო) ნივთები და სხვა არტეფაქტები,<sup>57</sup> (სურ.36.) ბრინჯაოს საკინძი მგლის თავის გამოსახულებით; ისრისპირები; ბრინჯაოს ფირფიტების ფრაგმენტები; ბრინჯაოსა და სპილენძის ზოდები- ნახევარფაბრიკატები; ადამიანის ხელისგამოსახულებიანი ბრინჯაოს ნივთი; ბრინჯაოს საკინძი ფრინველის(?) გამოსახულებით. (სურ 49,50,51)



სურ.49



სურ.50



სურ.51

სოფ. ქვედა იფარში მცხოვრებმა თამაზ ჭკადუამ სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის გადმოგვცა მის მიერ ნაპოვნი, ჩვენს მიერ 2011 წელს სამეცნიერო მიმოქცევაში შესული სამი ცალი კერამიკული ჭურჭელი:

ზემოთ აღნიშნულ არტეფაქტებთან ერთად ჩვენ სვანეთის მუზეუმს გადავეცით 2012 წელს აღმოჩენილი რომაული ხანის ბრინჯაოს ფიბულა და რკინის ცული

გარდა ზემოთ აღნიშნული საველე არქეოლოგიური სამუშაოებისა თსუ სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ამ პერიოდში მოხდა მესტიის

<sup>57</sup> ზ. კვიციანი - საოქრომჭედლო (საიუველირო) იარაღები ძველ სვანეთში ინტერდისციპლინარული ტ.2 2013).

მუნიციპალიტეტის, ცხუმარის, ეცერისა და ლენჯერის თემებში შემავალი სოფლების ახალი, დღემდე უცნობი ნაეკლესიოებისა და ნაკოშკარების აღმოჩენა, გამოვლენა, დაგეგმვა და მათი შემოტანა სამცხიერო მიმოქცევაში. განსაკუთრებით გამოვყოფდით ცალანარის წმ.გიორგის ეკლესიას. ეცერის თემის სოფ.ცალანარი მდებარეობს ენგურის ხეობაში ზუგდიდი-მესტიის საავტომობილო გზის მონაკვეთში, ეცერის თემის დასაწყისში. ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ მოხდა ამავე სოფელში მაღალ ტერასაზე მდებარე (წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის გაწმენდა თვითნებურად,(სურ.55,56,57,58).



სურ.55



სურ.56



სურ.57



სურ.58

(თუმცა მათთან შეხვედრის მერე საუბარში გაირკვა, რომ ამ სოფლის მაცხოვრებლებს დიდი ხანია უნდათ ამ ეკლესიის აღდგენა და მათ რამდენჯერმე მიმართეს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს ამის შესახებ, რომ მოეკლინათ სპეციალისტები, მაგრამ არანაირი შედეგი არ გამოუღია და ამის შემდგომ გადაწყვიტეს თავისით ამ ძეგლის

გაწმენდა) სამწუხაროდ გაწმენდის დროს დაზიანებულია სამარხები (სამი სამარხი) სულ რამდენიმე არტეფაქტი, თიხის ოთხი ჭურჭელი იქნა გამოვლენილი: (59, 60, 61, 62)



სურ.61



სურ.62



სურ.60



სურ.59

1. ნივთი უსახო
2. თიხის სახელურიანი ჭურჭელი – ცუდად განლექილი, ბრტყელძირიანი, უქუსლო, ოდნავ გაბერილი მუცლით, მორუხო ფერის, გარედან დამწვარი (სურ.59)
3. თიხის ჭურჭელი სახელურიანი – ბრტყელძირიანი, სწორი მუცელი ცუდად განლექილი, შიგნიდან მორუხო, კეცი მოწითალო, გარედან დამწვარი უქუსლო. (სურ.60, 62)
4. თიხის საზიარო ჭურჭლის ფრაგმენტი – გარედან ჩალისფერი, კეცი მონაცრისფრო, ქუსლიანი, მუცლით ვიწროვდება ძირისკენ, პირი აქვს სწორი, კეცი ცუდად განლექილი, შეინიშნება მინარევები. (სურ.61)

გათხრების დროს აღმოჩნდა ორნამენტირებული ქვების,წარწერების (სურ.63,64) კარნიზის ფრაგმენტები,მათ შორის კირქვის ფილები ქართული-ნუსხური წარწერებით: (სურ.65)



სურ.63



სურ.64



სურ.65

- 1.ქე შე ვდ
- 2.რლ აი
- 3.ყლ ას ე
- 4.აძე

წარწერა ასე იშიფრება

პირველი ხაზი: ქრისტე შიწყალე ვდ (სავარაუდოდ ეკლესიის კტიტორის სახელი)

მეორე ხაზი : რომელმაც აღაშენა ი(?)

მესამე ხაზი: ყოველი ან ყოველმა ას(?) (შესაძლოა ასე კტიტორის მამის სახელია)

მეოთხე ხაზი: ძე წარწერა შესრულებულია ასომთავრულ ნუსხური წარწერით ქვაზე. როგორც ჩანს ცალანარის ეკლესიის კედლები თავის დროზე შემკული იყო ჩუქურთმებით. მას ფიგურული რელიეფებიც ამკობდა.(სურ.66,67)



სურ.66



სურ.67

ტამარი ამჟამად დაზიანებულია. შემორჩენილი ქვათა წყობა საშუალებას იძლევა მისი არქიტექტურის გასარკვევად იგი ერთნავიანია, ეკლესია დიდი ზომისაა 7X 7მ, აშენებულია თლილი ქვისაგან, დარბაზული ტიპის. დარბაზული ეკლესიები ქართულ ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდება და გუმბათოვან ტაძრებთან ერთად არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპზე უწყვეტად გვხვდება. შესასვლელი აქვს სამი მხრიდან დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან. ტაძრის გარე მოხაზულობა სწორკუთხაა. ნაეკლესიარი სწორკუთხა ფორმის კარგად დამუშავებული თლილი ქვით ნაგები კედლის სისქე მერყეობს 2 დან 1 მეტრამდე, შიდა ინტერიერისათვის დამახასიათებელი ნახევარწრიული საკურთხეველი, სივრცე საზეიმო და დიდებულია. იგი ხუროთმოძღვრის მაღალი პროფსიული ოსტატობის კვალს ატარებს ფრესკული მოხატულობის კვალი არ შეიმჩნევა, საკურთხეველი, დარბაზისაგან გამოყოფილი უნდა ყოფილიყო თალით, რომელსაც ფრაგმენტები და მომრგვალებული ძელები ადასტურებს. ტაძრის ფართობი დაახლოებით 54კვ.მ და განეკუთვნება შუა საუკუნეებს. საძირკველად გამოყენებულია ბრტყელი ქვები, სრულიად განსხვავებული გარე საფასადო ქვისაგან ტაძარს სამი შესასვლელი აქვს, მთავარი შესასვლელი სამხრეთიდან უნდა ყოფილიყო ვინაიდან კარისათვის განკუთვნილი ადგილის სიგანე აქ ყველაზე დიდია გარდა ამისა კედლის სისქე აქ 2 მ–მდეა აღწევს, გამომდინარე იქიდან, რომ სოფ.ცალანარში მხოლოდ ეს ერთი ეკლესიაა (არც წყაროებს და არც ადგილობრივ მოსახლეობას სხვა ნაეკლესიარზე ინფორმაცია არ აქვს) უნდა მიუთითებდეს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. გადაუდებელია აღნიშნული ნაეკლესიარის არქეოლოგიური შესწავლა შემდგომი რესტავრაციისათვის.

## დასკვნა

სასწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები მნიშვნელოვნად ავსებენ ამ კუთხის მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სვანეთის, არამედ კავკასიონის მთიან ზოლში მოსახლე სხვა ქართველი ტომების შორეული წარსულის გასაშუქებლად, საქართველოს ისტორიაში მათი როლისა და მნიშვნელობის გასარკვევად. აღნიშნული ძეგლები ასევე საინტერესოა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით.

ამდენად 2014 წლის ექსპედიციის მიერ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების მნიშვნელობა ადგილობრივ ფარგლებს სცილდება, რაც თავის მხრივ აყენებს საკითხს ამ მასალების სრული სახით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისა და სათანადო პუბლიკაციის აუცილებლობის შესახებ. ამასთან გადაუდებელი ჩანს სვანეთის სისტემატიური არქეოლოგიური კვლევა, სხვანაირად ვერ შეივსება საქართველოს ისტორიოგრაფიაში არსებული სერიოზული ხარვეზი, რასაც ჩვენი ქვეყნის მთიანი ზოლის წარსულის შესწავლის უკმარისობა ჰქმნის.

ასეთია ზოგადად სვანეთის სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციის მიერ ახლად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების ძირითადი დასკვნები. მათი სრული და საბოლოო ანალიზი ამჯერად ჩვენი ანგარიშის ფარგლებს სცილდება. ასეთი სამუშაოს განხორციელება გათვალისწინებულია მომავლისათვის,

ექსპედიციის შემადგენლობა, მხარდაჭერისათვის განსაკუთრებულ მადლობას უხდის მესტიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ბატონ კახაბერ ჟორჟოლიანს , ქალბატონ ნანი ნავერიანს და მესტიის კულტურის ცენტრის დირექტორს ქალბატონ ნარგიზ ნიგურიანს.

ამრიგად, ექსპედიციის მიერ განხორციელებული კვლევა-ძიების შედეგად შესრულდა ექსპედიციის მიერ დასახული მიზანი.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1983 წლის ანგარიში.
2. შ. ჩართოლანი. სვანეთის არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, თბილისი, 1974.
3. შ. ჩართოლანი, რ. ხვისტანი, მ. ცინდელიანი. ჰემკილდის წმინდა გიორგი, ძიებანი, №6, 2000.
4. შ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი. 1996.
5. შ. ჩართოლანი. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის. თბილისი, 1976.
6. შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1987 წლის ანგარიში.
7. შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988 წლის ანგარიში.
8. შ. ჩართოლანი. ლარილარის სამაროვანი, კრ. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1968.
9. ზ. კვიციანი, თ. თოდუა რ. ხვისტანი, მ. ცინდელიანი და სხვები. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2011 წლის ანგარიში. თბ. 2015წ.
10. ზ. კვიციანი, რ. ხვისტანი და სხვები. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2012 წლის ანგარიში. თბ. 2015წ.
11. ზ. კვიციანი, თ. თოდუა, რ. ხვისტანი კ. კობერიძე და სხვები. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2013 წლის ანგარიში. თბ. 2015წ.
12. ზ. კვიციანი, თ. თოდუა, რ. ხვისტანი, მ. ცინდელიანი.. ჭუბერის ძვ.წ. VIII-VII სს. რკინის სადნობი ქურა.კრ. საისტორიო ვერტიკალები ტ. XXIV. 2012.
13. ზ. კვიციანი. სვანეთი რომაულ სასაზღვრო ციხესიმაგრეების სისტემაში. თსუ. ისტორიის შრომები. ტ. VIII. 2014w.
14. ზ. კვიციანი. სვანეთი. ოქრომჭედლობის უძველესი კერა. თსუ. ისტორიის შრომები. ტ. III. 2012.
15. ზ. კვიციანი. მუსიკალური კულტურის საკითხისათვის ანტიკური ხანის საქართველოში (არქეოლოგიური არტეფაქტები) შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი № 1 (45) 2010
16. ზ.კვიციანი ,ლ.ჯიბლაძე.- კოლხეთის მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები ბრინჯაოს ხანაში(ზოგადი მიმოხილვა სვანეთის მასალების მიხედვით), პროფ.გ.ლორთქიფანიძის საიუბილეო თსუ კრებული თბ. 2010,
17. ზ. კვიციანი. საქართველო- ჩრდილო კავკასიის საკომუნიკაციო საშუალებები (სვანეთის სამიმოსვლო გზები) კრ. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები.ტ. V 1999
18. გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე. სვანეთი. ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა. 2008.
19. გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი. სვანური ოქრო (სვანური ოქროს პრობლემისათვის ანტიკურ ხანაში) კრ. სვანეთი. ტ.III. 2008.

20. ალ. ჯავახიშვილი. ხაიშის განძი. ჟურნალი მნათობი. №3. 1958.
21. ბ. ცხადაძე – დუღუკისა და სალამურის წარმოებისათვის. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი № 1(34).
22. გ. დუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, მაცნე. №1, 1973, გვ. 61-64.
23. გ. ინანიშვილი, შ. ჩართოლანი, ბ. მაისურაძე. საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები, ძიებანი, №2, 1998.
24. მ. ქალდანი. მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისთვის, აფხაზეთის მოამბე, №2-3, 1999.
25. რ. ხვისტანი. შუასაუკუნეთა ხანის სვანეთის ნასოფლარების შესწავლისათვის, შეასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, II კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 2003
26. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. 2007
27. ზუხბაია ვ., ქართული ოქრო; თბ. 1995
28. ლორთქიფანიძე დ., ოქრომრავალი კოლხეთი; თბ. 2005
29. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობა სვანეთში; პარიზი 1937
30. ჩუბინაშვილი გ., X-XIII სს სვანური საოქრომჭედლო სახელოსნოების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები; თბ. 1946
31. მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი- ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები (12 საფეხურიანი საკურთხევლის არე) კრ.ვანი VIII 1986 გვ.53.
32. ზ.კვიციანი-სამეურნეო იარაღები სვანეთიდან (ბრინჯაოს ფართოპირიანი თოხი). „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, ტ. XIV, გვ. 22-28 თბ.,2012)
33. ზ.კვიციანი საიუველირო(საოქრომჭედლო)საქმე ძველ სვანეთში. თსუ კრ.ინტერდისციპლინარული არქეოლოგია ტ.2 თბ.2013
34. ზ.კვიციანი და სხვები.სვანეთში ხუდონჰესის მშენებლობის(დატბორვის) ზონაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები 2013 წელი.),ზ.კვიციანი– უნიკალური არტეფაქტი ხაიშის ანტიკური ხანის საკულტო კომპლექსიდან (იბეჭდება)
35. მიქელაძე თ. – კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. გვ. 20-70.
36. ძიმიგური ლ, ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა თბ.1994, გვ. 110
37. გ.ლორთქიფანიძე,ბიჭვინთის ნაქალაქარი1991;167
38. თოდუა თ. რომაული სამყარო და კოლხეთი,2003,34
39. შ. ჩართოლანი. სპოლენძის უძველესი იარაღები სვანეთიდან, საისტორიო კრებული, ტ.II თბ. 1971, გვ. 297-346.
40. ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ისტორიისათვის, ლითონის წარმოების ადრინდელ საფეხურზე. 1955
41. რუსული
42. რუსული
43. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, გვ.52 დასახ. ნაშრომი, გვ.146

44. ტ. ჩუბინიშვილი, მტკვირისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ. 1965
45. ო. ჯაფარიძე, ქართველი ისტორიისთვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე 1955 გვ.93; დ.ქორიძე კოლხური კულტურის ისტორიისათვის გვ.52
46. გ. დუნდუა, თ.დუნდუა ქართული ნუმისმატიკა 2005; გვ. 65,66
47. ლ. ბოჭორიშვილი – ოქრომჭედლობა სვანეთში. საქართველოს სსრ მეც. აკად. მოამბე, ტ. VII, #5, 1946, გვ. 287-288
48. ე. გაბლიანი, არქეოლოგიური გათხრები სვანეთში, ჟურნალი დროშა 1930წ. #19
49. სინაურიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 47, ტაბ, III, 1.
50. Аханов Н. – Гелендзиские подкурганские домены. СА. №1, 1964, с.143-145. кар. 6.
51. Уварова П. – Могильники Северного Кавказа. МАК. VIIIб Москва, 1900.
52. Артилакვა В. \_ Железообработающее ремесло древней Грузии. 1976. გვ. 47.
53. R.P. Harper, 1974. II,.33 fig. 11
54. Максимов М., Очерк о золоте., М. 1958
55. Ковалевский Б., К истории железного производства., По материалам раскопок Чуберской железноплавельны. ГАИМК, М-Л. 1935
56. Казаманова Л., Кропоткин В. Подражения римским золотым монетам, II-III в.в., ВДИ, 1964, №1.
57. Капанадзе Д, О назначении монет так называемой «варваризованной» чеканки находимых на территории Грузии (по поводу статьи С. Макалатия), ВДИ, 1953, №1.
58. Голкнуо К. Заметки об обращении римской монеты в Закавказье, ВДИ, 1971, №4.
59. Jones T., Barbarians., London 2006
60. Cauuet B., L'or dans l., Antiquite, de la Mine a L'object., Toulouse 1999
61. Ducan –Jones R., Money and Government in the Roman Empire. Cambridge 1994
62. James S., The Atlantic celts., London 1999
63. Kolnikova E., Keltske mince na Slavenski; Bratislava, Pallas, 1978
64. В. Г. Петренко - Правобережье среднего приднепровья в V- III в.в. до н . э. САИ , вып. 1- 4 1967
65. М.М. Худик- из истории Нимфея VI – III веков до н . э. л. 1962 . გვ. 26 .ტაბ. 20-4